„ჟალგირისი“ (ვილნიუსი) – „დინამო“ (თბილისი) 1:0 (1:0).

ვილნიუსი. „ჟალგირისის“ ცენტრალური სტადიონი. 15 აპრილი.

მსაჯი ვ. ფილიპოვი. გოლი მე-18 წუთზე გაიტანა ბარანაუსკასმა. დუბლიორები - 4:0.

„ჟალგირისი“: მარტინკენასი, ფრიდრიკასი (კვილიუნასი, 46, მაჟეიკისი, 85) სუკრისტოვი, ბალტიშნუკასი, აინონისი, ტაუტკუსი, ბარანაუსკასი, ივანაუსკასი, იაკუბაუსკასი, რასიუკასი, კვიტკაუსკასი.

„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ცხადაძე, ჭედია, კაჭარავა, თედეევი, ჯიშკარიანი, ცვეიბა, ცაავა, ფანცულაია, გოგიჩაიშვილი.

ვილნიუსელმა ფეხბურთელებმა თამაში დაიწყეს სწრაფად, მწვავედ, განსაკუთრებით აქტიურობდნენ ივანაუსკასი, ბარანაუსკასი, რომლებიც ხშირად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს მეტოქის კართან. რამდენიმე ძნელი ბურთის აღება მოუხდა მეკარე გაბელიას. ჟალგირისის“ ერთ-ერთი შეტევა ზუსტი თავური დარტყმით დაამთავრა ბარანაუსკასმ ა- 1:0.

შესვენების შემდეგ დინამოელები გაცილებით უფრო ენერგიულად და მონდომებით იბრძოდნენ, კარგა ხანს ფლობდნენ ინიციატივას და საპასუხო ბურთის გატანის არაერთი შესაძლებლობაც ჰქონდათ, კერძოდ, ერთ-ერთ მომენტში ფანცულაია სრულიად ღიად აღმოჩნდა მასპინძელთა კარის წინ, მაგრამ ვერ გამოიყენა ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა.

ამ მატჩში იყო ასეთი ეპიზოდი: 65-ე წუთზე გაბელიასთან პირისპირ გავიდა ბარანაუსკასი, შეტაკების შედეგად ორივე ფეხბურთელი დაეცა. არბიტრმა ვ. ფილიპოვმა 11-მეტრიანზე მიუთითა. დინამოელებმა მსაჯის გადაწყვეტილება არასწორად ჩათვალეს და მოითხოვეს მისი შეცვლა. მსაჯი ფეხბურთელებს დაეთანხმა. მატჩის ინსპექტორმა საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ვ. ტოლჩინსკიმ (ალმა-ატა) ვ. ფილიპოვს შეფასება 4 დაუწერა. გვერდითმა მსაჯებმა ვ. კობუხანცევმა და ა. კარტავცევმა ხუთიანები დაიმსახურეს.

“ლელო” 19.04.1989